არასრულწლოვნის დელიქტური პასუხისმგებლობა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

ლიკა ჭელიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით ქოჩიაშვილი, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლიკა ჭელიძე

20.01.2025

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომში განხილულია არასრულწლოვნის დელიქტური პასუხისმგებლობის პრაქტიკული და თეორიული ასპექტები. თემის მიზანია დაინტერესებული სუბიექტისთვის ცხადი გახდეს არასრულწლოვანი პირის დელიქტური პასუხისმგებლობის არსი, მიზნები და წარმოჩინდეს ის ხარვეზები, რომლებიც თან ახლავს როგორც შიდასახელმწიფოებრივ, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივ სისტემებს. სამაგისტრო ნაშრომის ფუნდამენტია სამეცნიერო წყაროების გაანალიზებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, გამოიკვეთოს პრაქტიკული პრობლემები, მეთოდოლოგია კი დაფუძნებულია პარალელზე საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასა და საერთაშორისო სამართლებრივ სივრცეში დამკვიდრებულ აქცენტებს შორის. კვლევის შედეგმა ერთგვარი ლუსტრაცია მოახდინა ისეთი საკითხების, რომლებიც თან ახლავს საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემას ბავშვისთვის დელიქტური პასუხისმგებლობის დაკისრებისას გადაწყვეტილებათა არგუმენტაციის ნაწილში; ასევე, პრაქტიკული მოკვლევის პროცესში დადგინდა მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოთა მხრიდან ის უსწორობები, რომელთა აღმოფხვრაც მართებული იქნება ჰარმონიზაციისა და სხვა ძირეული პრინციპების აღსრულების თვალსაზრისით. კონკრეტული სამაგისტრო ნაშრომი, თავისი შინაარსობრივი მხარის გათვალისწინებით ღირებულია, ვინაიდან საკითხები რომლებიც მასშია აკუმულირებული აქტუალურია საქართველოსა და თანამედროვე მსოფლიოს არაერთ დემოკრატიულ სახელმწიფოში. ნაშრომში პასუხი გაეცა კითხვას, თუ რას მოიაზრებს საკუთარ თავში არასრულწლოვნის დელიქტური პასუხისმგებლობა და რა როლი აქვს მას როგორც ზრდასრული, ასევე არასრულწლოვანი პირების სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების ნაწილში. ამასთან, თემაში არსებულმა მსჯელობამ გარკვეულწილად გასცა რეკომენდაციები საქართველოს საერთო სასამართლოთა სისტემის მიმართ ხარვეზების აღმოფხვრის

თაობაზე. კვლევაში საძიებო სიტყვებია: დელიქტი, არასრულწლოვანი, მშობელი, ჰარმონიზაცია, ინტეგრაცია, ზიანი, ბრალი, მართლწინააღმდეგობა.

Abstract

This master's thesis discusses the practical and theoretical aspects of the tort liability of minors. The purpose of the topic is to clarify for the interested party the essence and goals of the tort liability of minors, as well as to identify the short comings that exist both in the domestic legal system and in the legal systems of various countries in the international arena. The master's thesis is based on the analysis of scientific sources and their mutual correspondences to identify practical problems, while the methodology is based on the parallel between the current legislation of Georgia and the established accents in the international legal space. The results of the study revealed the issues that face the Georgian common court system in the reasoning of decisions when imposing tort liability on a child. In addition, in the process of practical study, discrepancies were identified on the part of the judicial bodies, the elimination of which would be justified in the future from the point of view of the implementation of the principle of harmonization and other fundamental principles. This master’s thesis is valuable for its content, since the issues raised in it are relevant both in Georgia and many democratic states of the modern world. The thesis provides answers to the questions of what constitutes tort liability for minors and what role it plays in the occurrence of civil liability for both adults and minors. In addition, the discussions on this topic provided certain recommendations for eliminating shortcomings in Georgia's common court system. Keywords: tort, minor, harmonisation, integration, damage, fault, contradiction.